ორშაბათი, 28 ოქტომბერი 1918 წ.

სოციალისტ-ფედერალისტი

№ 14 საქართველოს სოციალ-ფედერალისტ მუშათა კავშირის გაზეთი. № 14

დასაბეჭდი მასალები მიიღება „სოციალ-ფედერალისტის“ რედაქციაში, ყოველ-დღე, დილის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 6—8-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები. ფოსტის მისამართი წერილებისა და ფულისათვის: ტფილისი ლორის-მელიქოვის ქ № 1. „სოციალისტ-ფედერალისტი“ ს რედაქცია.

ფასი ტფილისში და ტფილის გარედ შვიდი შაური რკინის გზის სადგურებზე 9 შაური.

ფასი 50 კ.

ივლისის 8-დან გამოდის საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირის საორშაბათო გაზეთი

„სოციალისტ-ფედერალისტი“

რომლის მიზანიც არის: მდაბიო და სადა ენით აუხსნას საქართველოს მშრომელ ხალხს დღევანდელი მდგომარეობა, შეიტანოს მათში კლასიური შეგნება და ხელი შეუწყოს მათ დარაზმვას სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის დროშის ქვეშ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

გაზეთი ღირს ცალი ათი შაური.

პროვინციელ ამხანაგებს ვთხოვთ გამოგზავნონ წერილები სოფლის და პროვინციებს ცხოვრების შესახებ, შემდეგი მისამართით ტფილისი ლორის-მელიქოვის ქ. № 1. (ძველი სემინარია) „სოციალისტ-ფედერალისტის რედაქციას“.

ტფილისი ოქტომბრის 28

მომავლის იმედი. საერთაშორისო ზავთან და თან გვიახლოვდება. შეიძლება ვიფიქროთ, თუ რაიმე ახალმა მოვლენამ მოულოდნელად არ წამოჰყო თავი, სისხლისაგან დაწრეტილ კაცობრიობას მალე ეღირსება მშვიდობიანობა.

მართალია, დიდი სახელმწიფოების იმპერიალისტური წრეები საოცარი კაცთმოძულეობით განაგრძობენ ომის სასარგებლო ქადაგებას, მაგრამ თუ სავსებით ხმამაღლა არა მკაფიოდ მაინც გაისმა საზიზღარი ომის ტვირთის ქვეშ სასომიხდილი წრეების ღაღადისი.

კმარა, დროა ბოლო მოეღოს საშინელ სასაკლაოს!

ზავი და მშვიდობიანობა გვწყურია. და ეს ღაღადისი ერთი მხრიდან მეორეში გადადის, ვით ცისკრის ზარის რეკვა, და ამოძრავებს ხალხის ნებისყოფას, ჰქმნის იმ ძალას, რომელმაც ომის ლიკვიდაციაში დიდი მონაწილეობა უნდა მიიღოს. ცხადია, ზავი უნდა დამყარდეს. სხვა გზა დღეს თვით ომის მახინჯ მსახურებთათვისაც კი აღარ არსებობს. ჩვენი ქვეყანა, საქართველო, ეჭვი არ არის, ზავის ჩამოგდების შემდეგ უფრო მეტის ნაბიჯითა და სიცხოველით დაეწაფება სრული განახლებისა და აღორძინების ნაკადს. ჩვენ უსაზღვრო იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო კონგრესი სცნობს საქართველოს სრულს დამოუკიდებლობას და საშუალებას მისცემს ჩვენს სახელმწიფოს, თავისუფლად და უშიშრად განავითაროს თვისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება...

მაგრამ დღეს თითქოს ჩვენი მდგომარეობა კვლავ რთულდება... ყოველ საათს შეიძლება შეიცვალოს საერთაშორისო განწყობილება და ამ დროს ჩვენს მტრებს განუზრახავთ, რომ ერთხელ კიდევ შეგვიშალონ ხელი და შეიძლება, მოსპობითაც დაგვემუქრონ...

ჰაერში კვლავ რაღაც მოსალოდნელი თავდასხმის სუნი დატრიალდა...

მეორეს მხრივ გამწვავდა ჩვენი მდგომარეობა სომხებთან, რომელთაც შეიარაღებული ძალით განიზრახეს ბორჩალოს მაზრის ნაწილის დაკავება. ჩვენ არ გვსურს მეზობელ ერთან უკმაყოფილების ჩამოგდება და მით უმეტეს მასთან ომი... ჩვენ ჯერ კიდევ გვინდა ვირწმუნოთ, რომ შეთანხმებით გავათავებთ დაწყებულ კონფლიქტს.

მაგრამ თუ ვინმე ჰფიქრობს, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლია შეესიოს საქართველოს და მის არსებობას ძირი გაუთხაროს, დეე, ყველა ამათ იცოდენ, რომ საშინლად შესცდებიან, რადგან მალე მწარე მაგალითით თვითვე დარწმუნდებიან, რომ ჩვენი ერი არავის აპატიებს მის საწინააღმდეგო გამოლაშქრებას.

ეს ყველაზე კარგათ ჩვენმა მეზობლებმა უნდა იცოდენ. ჩვენ გულწრფელად გვწადია მათთან კეთილი მეზობლობა, სოლიდარობა, თანხმობა, მაგრამ გულწრფელადვე ისიც გვწადია, რომ ჩვენს არსებობას ხელი არავინ შეახოს...

ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა თითქმის კვლავ რთულდება. მაგრამ ჩვენ სრულის იმედით შევსცქერით მომავალს, რომ შევსძლებთ თავიდან ავიცდინოთ ყოველგვარი მოსალოდნელი უბედურება და მშობელი ქვეყანა უვნებლათ გავატაროთ თანამედროვე ცხოვრების აბობოქრებულ ზღვაპირსე... ეს რწმენაა, რომ გვამოქმედებს, ეს იმედია, რომ მრავალ შევიწროებასა და შინაურისაგან, თუ გარეშესაგან მოყენებულ შეურაცყოფას გვავიწყებს და გვიხმობს თავგანწირულ მოქმედებისაკენ. ეს წრფელი და მაღალი მოსაზრებაა, რომ დაჟინებით გვიკარნახებს: დროებით ყოველივე დავიწყე და მხოლოდ შენი ქვეყნის ბედ ილბალზე იფიქრეო.

და ჩვენ ხმა-მაღლა ვიტყოდით:

საქართველომ უნდა იცოცხლოს! და იცოცხლებს კიდეც, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა!

ჰეი, ფრთხილად!

საქათველოს ასეულმა ცხოვრებამ, ირგვლივ შემოსალტულმა მტრებმა და კონტრ-რევოლიუციის შინაგანმა ხრჩოლვამ გამოიწვია მომქმედ სოციალისტურ პარტიების შეთანხმება. ერთი მთლიანი ფრონტი—აი ის ძახილი, რომელმაც ერთად მოუყარა თავი გუშინდელ მოწინააღმდეგეებს, და ძმურ ძახილში ზოგი იმ თავ-დავიწყებამდეც კი მივიდა, რომ მზად იყო თავის საკუთარ არსებობაზედაც ხელი აედო... თვით ჩვენი პარტიაც მეტად გულღიად შეხვდა შეთანხმების საკითხს, რადგან მის განხორციელებაში ჰხედავდა დიდი მასწავლებლის აღთქმის განხორციელებას.

და ის ძველი შეურიგებლობა, ის გაავებული ტონი, რომლითაც სოციალ-დემოკრატები და ჩვენ ერთმანეთს ვეკამათებოდით, უმალ გაჰქრა, და წარსულ უნდობლობის კედელთან გამოჩნდა ორი ხელი, ერთმანეთისაკენ გაწვდილი.

ორი მებრძოლი ერთმანეთს ძმად ეფიცებოდა, რომ მხარ გაერთიანებულებს ედარაჯნათ საქართველოს თავისუფლების კარებთან.

მაგრამ ჩვენი პარტია მოტყუებული დარჩა.

სოციალ-დემოკრატიამ ვერ შესძლო ჩვენთან კავშირი. [illegible] პარტიამ მაინც თავისკენ თლას [illegible] თავი, და ჩვენი პარტიის [illegible] გამოყენებულ მოისურვეს. ჩვენ ამას ვხედავდით. ჩვენ ამის წინააღმდეგ ვწერდით კიდეც. ორ აზრის შებრძოლებაც კი გახდა საჭირო თვით ჩვენს წრეშივე. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან საკითხის სიმწვავეს განვიცდიდით მეტად ძლიერ. და ჩვენ მართალნი გამოვდექით, ჩვენ, ვინც დიდი ეჭვის თვალით უცქერდით სოც.-დემოკრატებთან კავშირს.

ჩვენ უფლება გვქონდა ამ ეჭვისა. სოც.-დემოკრატებიც პირდაპირ პსიხოლოგიურად ვერ შესძლებდნენ ჩვენთან კავშირს.

ხომ იშვიათია ის ბრძოლის ხერხი, რომლითაც სოციალ-დემოკრატები სცდილობდნენ ჩვენს დამარცხებას. ხომ ძნელად იხმარება ის შავი საშუალება, რომლითაც სცდილობდნენ ჩვენი სახელის გატეხვას ხალხის თვალში.

და 15 წლის განმავლობაში ამ ბრძოლის ალში გამოვლილი ხალხი, 25 წლის განმავლობაში ჩვენი სიძულვილის მატარებელი ადამიანები, რასაკვირველია ბუნებრივად ვერ შესძლებდნენ ყველაფრის დავიწყებას, და აქ ჩვენი კავშირი უსათუოდ ყალბ გზას დაადგებოდა. რა უყოთ რომ ჩვენ გულ-წრფელად ვივიწყებდით წარსულს. რომ ჩვენ შორის ძიების დმერთისთვის არც ერთი ლოცვის თქმა არ მოგვინდომია, სოციალ-დემოკრატები მაინც ვერ მოვტეხეთ ჩვენი განწყობილებით, და ჩვენს და მათ შორის ამღვრეული წყალი მაინც ვერ დაწკნა.

და თუ დღემდე მაინც ვცდილობდით ჩვენსა და სოც.-დემოკრატთა შეთანხმებისთვის, თუ ბევრს უთმო, ბდით კიდეც სოც.-დემოკრატიას, დღეის შემდეგ ეს შეუძლებელია- შეუძლებელია მიტომ, რომ სოც.-დემოკრატები ძველ გზას არ სტოვებენ. მათი მადა ისევ ძველებურია. მათ ბატონობის სურვილი ჯერ არ მოჰკვლიათ. სოც.-დემოკრატები მეტად გაათამამა რევოლიუციის დილამ. კინაღამ მზეც კი პარტიულ რამ საკუთრებად გამოაცხადეს, ისე გათამამდნენ და გაზვიადდნენ.

და ეს ბატონობა ისე გაუჯდათ ძვალ რბილში, რომ იმასაც კი ვერ ამჩნევენ, თუ რევოლიუციის შუადღემ როგორ დაჰხრუკა მათი ბანაკი და როგორ მოშუშა ის მათი ზრდის ღერო, რომელსაც უნდა პარტიისთვის მოეცა ახალ-ახალი ნაყოფი. დიახ, ვერ ამჩნევენ სოც.-დემოკრატები იმ კრიზისს იმ გაკოტრებას, რომელსაც ასე დაუბუდებია მათ პარტიაში.

ისინი ვერ ამჩნევენ იმ აჩქარებულ შესუსტებას, რომელმაც შეიპყრო, მათი დასი, და ძველებური კილოთი განაგრძობენ თავინთებურ დიქტატურას.

მაგრამ ვაფრთხილებთ.

არ შეიძლება იმ გზით სიარული, რა გზითაც სოც.-დემოკრატია მიემართება. თუ მათ გარდა პარტიული ქინიანობისა საქართველოს მშრომელი ხალხის ბედიც აინტერესებს, ამ გზას თავს გაანებებენ. მათ არა აქვთ უფლება ასეთი ქცევისა. სოციალ-დემოკრატია მოვალეა თავის დიდ პრეტენზიებს ფრთები შეაკვეცოს.

სოც.-დემ. მოვალეა ყველა სოციალისტურ პარტიას მეტი ანგარიში გაუწიოს, თორემ სულ მალე კვლავ უნდა ელოდეს იმ არეულ დღეების გამეორებას, როდესაც ისე გულმოდგინედ დაიწყებენ ხოლმე ძებნას სოციალისტურ პარტიებისას.

ჯერ საქართველოს ცა არ მოწმენდილა, სოციალ-დემოკრატია ჯერ არ [illegible] ჯერ [illegible] დავჭირდებით სოციალ-ოემოკრატებს, თუნდა იმ ცოდვების შემსუბუქებლად, რომლითაც ეს „მუშათა პარტიას“ არის დატვირთული. რა უყოთ. საქართველომ ცოდვილი მოკავშირეობაც გვაკისრა. მაგრამ ჩვენი მოკავშირეობაც სწორედ იქ მეღაენდება, სადაც მათ ბარრიკადებს უშენებთ და აღარ ვაძლევთ საშუალებას ცოდვათამქმნელობისას. ჩვენ მათ ხშირად უჩვენებთ გზებს, ჩვენ მათ ხშირად ვაფრთხილებთ.

ისინი უყურადღებოდ სტოვებენ ჩვენს სიტყვას. ალბად შეტევაზე გადასვლას გვთხოვენ. ვნახოთ. თუ საჭირო გახდა, არც ამ გზის ხამები ვართ. მაგრამ არა მგონია შეტევაზე ფიქრი შესაძლო იყოს იქ, სადაც ათას-გვარი ნიღაბიანი გაიძვერები გვიმზადებენ მჭრელ მახვილს ზურგიდან.

დღეს ჩვენ ისეთივე სიფხიზლე და შეკავშირება გვმართებს, როგორც ეს საქართველოს დამოუკიდებობის გამოცხადების წინა დღეებში იყო. კავშირია საჭირო, მაგრამ ნამდვილი კავშირი, სადაც სოც.-დემოკრატების გოროზობას და საზიზღარ თავკერძობას არ ექნება ადგილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლიან მათთან ერთად აკი თვით სოციალ-დემოკრატებმაც აურიეს ენაც და ხელიც. აკი ისინიც რაღაც ძველებურად მოიმართნენ ისევ.

არა ბ-ებო! შესდექით. მანდ უფსკრულია. თქვენ მალე რუსეთისაკენ არ გაიხედოთ. დიახ ფრთხილად.

ეჭვები არ გაგვიმართლოთ, თორემ ისე გაგირჯულებთ ყოფნას, რომ ვეღარავითარმა ბლოკმა თქვენი საქმე ვეღარ გამოაკეთოს. აბ ბოლო დროის ფქვენ მეტად გათამამდით. ერთ ხანებას მოკატუნებული თქვენი ზვიადობა დღეს ისევ ძველებური სახით სდგება, და ჩვენითაც ძველი ენით იწყობთ ლაპარაკს.

მივიღებთ ხმობს, გამოგვებით ძველებრ მოქიშპედ, თუ არ დაგიშლიათ, მაგრან რა იქნება სასარგებლო?

ჩვენთვის ბევრი, თქვენთვის ნაკლები, საქართველოსთვის კი ჯერ-ჯერობით არაფერი. და სწორედ ეს უკანასკნელი საბუთია ჩვეთვის ყველაზე დიდი.

თქვენთან კავშირიც მისი ბრალია, და აი ამ საქართველოს სახელით გაფრთხილებთ და გიყივით: ჰეი, ბ-ებო, ფრთხილად! მანდ უფსკრულია.

გარეთ-უბნელი.

დასჯილი სამშობლო!

ჩვენი ამხანაგების გულწრფელი სურვილი-საქართველოს შენობისათვის სოციალისტური ძალთა კოალიცია, დემოკრატიის საერთო ეროვნული ფრონტის განმტკიცება ამ საშინელ ძალთა ჭიდილში ერთად ყოფნა სამშობლოს თავისუფლების დასაცავად, მეორე სოციალისტურ „ლაგერს“ სოციალ- დემოკრატიისას მოსწყინდა და აი ეროვნულ საბჭოში უკვე სუნი ტრიალებს გათიშვისა და განცალკევების: ჩვენ თავიდანავე ვიცოდით, რომ ის ხალხი, რომელიც ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ჩვენ დევნაში აღიზარდა დღეს ასე უცებ არ გადაგვმქცეოდა სიყვარულის უკვდავ ძეურებად. ზოგიერთს ისიც კი სჯერათ, რომ სოც.-დემოკრატია ეროვნულ მოღვაწეობასაც მეტად სიყვარულით ეკიდებაო, მაგრამ ჩვენ ჯერ ეს ვერ-სად ვიხილეთ თუ ხედვილობაში არ მივიღებთ მხოლოდ დაბოკ დებლობას [illegible] შინაარსი და გარეგნულადაც ვერ არის მაინც და მაინც მომხიბლველი ამ უკანასკნელ კვირაში ჯერ-ჯეროობით საქართველომ ორი სოც დემოკრატიული სილა იგემა: ერთი რუსული ენის შემოღება და მეორეც ჩვენი ლატაკი სახელმწიფო ხაზინა ათასებს უგზავნის ამიერ კავკასიის უნივერსიტეტს. ეს მაშინ ხდება, როცა კუჭ დაწყვარია შიმშილით მთელი სახალხო მასწავლებლობა, აღარ გვაქვს თვითონ სასწავლებლები და ფაბრიკა ქარხნებსა და რკინის გზებზე. ჩვენ მუშებს ორ-ორი სამ-სამითვე უკაპეიკოდ უხდება ჯალობა. ცოლშვილით დატვირთული ოჯახები შიმშილობენ ამ დროს ჩვენ ვარიგებთ ათასებს ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი კი ფინჯანელში კაპეიკებს დამათხოვრობს...

და აი, როდესაც ჩვენს თვალწინ ასეთი ცხადი სილატაკეა, იმის მაგივრად,რომ ჩვენ ვცდილობდეთ ჩვენი საფინანსო პოლიტიკის გაუმჯობესებას ჩვენში დაჩაჩანაკებული გარემოების როგორმე გამოსწორებას, ჩვენი ლარიბ კერიდან ვეპატიჟებით სხვებს მირთვით და სეამეთ გენაცვალეთო— გულ უხვობა ძვირფასი და დიდებულია მაგრამ გულ უხვნი მაშინ უნდა ვუყვნეთ, როცა გვაქვს: არა გაგვაჩნია რა, ფინანსების კარადა ანარქიას შექმნის და ჩვენს სახელმწიფოს საშინელ საფრთხეს მოუმზადებს და როგორ გგონიათ ყინმე გვიპატივებს? ოთხმოცი მილიონი მანათიც გავაჩუქეთ მაგრამ ეს მილიონები ხომ ჩვენს ლარიბ ლატაკ-გლეხობას უნდა დააწვეს კისერზე მაშინ როდესაც, ვისაც მივართვით იგი ალბათ მეტისაც შემოგვედავება და რომ კი, ესეც დაჭტკიცდა.

ენის საკითხი? უფრო სწორად უფრო გარკვეულად უფრო სათანადოდ სხვაგან არსად არ გადაწყვეტილა არც დემოკრატიისა და არც ერის უფლებისათვის!..

მაგრამ ამ დღეს გაჩუმებული სოციალ-დემოკრატია მეორეთ გამოვიდა მთელი თავის სიძლიერით და მთე-

ლი რიხით აქაო და რუსული, ჩვენი საყვარელი რუსული ენა უნდა ალვადგინოთო და მარშალი სოც. დემოკრატიის წერეთელიც ამ დღეს თურმე განსაკუთრებით ქუხდა და ქუხდა: და დაამარცხეს ყველანი თავის გარდა—ყველა მტყუანი აღმოჩნდა სოც. დემოკრატები კი მართალი: დიახ ასე გადასწყვიტეს თითებმა! ყოველად შემძლე „თითებმა. მაშ ასე რუსული ენა ეროვნული საბჭოში, ათასები ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტს. ხოლო მილიონები სომხებს!..

და როდესაც ამ უსამართლოების წინ წარსდგნენ ქართველი ერის შვილები და სთქვეს დრმა შეგნებით უსაფუძვლობა ამ კანონ პროექტების, მუშათა თითებმა მშრომელმა ხელებმა ქართველი დემოკრატიის ბნელად დაფარა დაავალებული გული სამშობლოსი: „საკითხავია სოც. დემოკრატი მუშები მშვიდი სინიდისით აჩუქებენ საქართველოს მილიონებს? ან ქართველმა მუშებმა დიდი ხანია „პარუსკობა“ დაიწყეს?.. თუ მუშაობს დიდი სარდლების დიდი გენია?!!

დიახ ეს სამი მოვლენა ნამდვილი სახეა იმისი თუ როგორ ნელნელა როგორ მძიმედ იხდება ფარდა რომლის იქით შავი, გამთიშავი, ბოროტი აჩრდილია, წყეული მოხური რუსეთის, რომელიც ჯერ კიდევ კერენსკის ოროს ეცხადებოდა ამ სოციალისტებს და ახლა საქართველოს პარლამენტში გაურის სოხეტეს გვიმდერებს...

ს. კოლხიდელი

ჩვენი ორგანიზაციების მოსრიგი საქმე.

ჩვენმა ამხანაგებმა კარგად იციან, რომ ჩვენი პარტიის მოღვაწეობას იმ თავითვე საფუძვლად ედო ჩვენი სამშობლოს და მშრომელი ხალხის ბედნიერება; ამხანაგებმა ისიც იციან, თუ რაოდენი ტანჯვა, წამება და დევნა განიცადეს თავ-განწირულმა მუშაკებმა, როგორც ძველი მთავრობის მხრივ, ისე ჩვენი სოციალ-დემოკრატებისაგან. ყველას კარგად ახსოვს ის აუტანელი დევნა და წამება, რაიც ვიგემეთ ბათგან ამ რევოლიუციის გამარჯვებამდე. ყველაფერი ეს ავიტანეთ ძმენეთ, თავგანწირვით, ვინაიდგან ღრმად გვწამდა, რომ ჩვენ სისწლით და ფაფუნით გზას ვუკაფავდით ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას.

დადგა ეს ხელსაური დროც! თქვენ კარგად იცით, ამხანაგენო, რომ ჩვენი პარტიამ ყველა შეუფერებელი დავიწყებას ბისცა და სათანადო ბრომლოდ, თავისუფალი სამშობლოს გასაბაგოებლად ძალ ხელი გაუწოდა თავის მოწინააღმდეგეთ, თავის მდევნელთ. ეს დიდი ისტორიული იყო თავმოყვარე პოლიტიკური პარტიისაგან სამშობლოს საინტერესოზე ბიტანილი.

ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს აუტანელი მდგომარეობა ჩვენი ამხანაგებისა პარლამენტში და მთავრობაში, სადაც ათან უძნიმვნელო მცირე ადგილი ბოგუნეს ჩვენი ქვეყნის მესვეურებმა. ჩვენს ფრაქციას, როგორც უმცირესობას, არ შეუძლია თვალსაჩინო კვალი დაჩნიოს მთავრობის პოლიტიკას და, ჩემის აზრით, გარიყულივით უნდა გორძოდეს თავს...

ბაგრამ ძაინც თავგამოდებით მუშაობენ ჩვენი ამხანაგები, ოთა სოც. დემოკრატებთან ერთობითა და თანამშრომლობით შეჭქონან ძლიერი საქართველო.

არ ეიცი, ამ გზით მივაღწევთ მიზანს თუ ვერა, ბაგრამ ერთი კი ცხადია: ჩვენი პარტია ამ მიზნისათვის ბრა ზოგავს თავის პოლიტიკურ არსებობასაც კი, სამშობლოს კეთილდღეობას სწირავს უდიდეს მსხვეპლს.

ერთი რამ კი კარგად უნდა დავიხსომოთ ამხანაგებო: ახალი სახელმწიფოს შესაქმელად ბრა კმარა ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიების შეფიანხმება და დროებითი თანამშრომლობა.

უპირველესი პირობა და საწინდარი სახელმწიფოს შესაქმნელად და გასაძლიერებლად ხალხის გულში თავისი ქვეყნისადმი აღძოული სიყვარულია. თუ ხალხმა თავისი სამშობლო, სახელმწიფო გულით არ შეიყვარა, არ აღინთო პატრიოტული გრძნობით ისე მისი, სახელმწიფოს, არსებობა ქვიშაზეა დამყარებული.

უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხია საფუძველი სახელმწიფოს ძლიერებისა, სამშობლოს მაგნე ხალხის გულია და ვინც ფიქრობს, რომ ძალდატანებით და რეპრესიებით ზევიდან შეიძლება ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, ის დათვურ სამსახურს უწევს თავის ქვეყანას: იგი უსაზღვრო სიძულვილს უნერგავს ხალხის გულში და საკმარისია ერთი შემოხვევით მუჯლუგუნი, რომ ასეთი სახელმწიფო დაიფუშოს.

ეს დავიხსომოთ კარგად, ამხანაგებო: ჩვენი ქვეყნის ბედნიერება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქართველი ხალხის გული მისდამი სიყვარულით იქნება ალსავსე. ყური არ უგდოთ იმ გზა აბნეულებს, რომლებიც მთავრობის მოყვარეობით გატაცებულნი გაიძახიან: „ხალხი ბრავი და უვიცია, მას რა უნდა ჰკითხოს კაცმა, რა გაეგებაო?!“

მერე როგორ შეიძლება ხალხს შეგაყვაროთ ჩვენი სახელმწიფო? ყველამ იცის, რომ ხალხი იცნობს სახელმწიფოს და მთავრობის მისი ადმინისტრაციით და სამართლით.

თუ ხალხი ხედავს, რომ სახელმწიფოში კანონიერება, თანასწორობა და სამართალია გამეფებული, რომ მოხელეები სინიდისიერნი ხალხის მსახურნი ერიან და მოსამართლენი სამართლიანობის მოციქულნი, მაშინ იგი გულით ითვისებს ასეთ სახელმწიფოს და მას ფეხით არავის გაათელვინებს. ამხანაგებო! გულზე ხელის დადებით რომ გადავხედოთ დღევანდელ მართვა-გამგეობას, კანონიერებას და სამართალს განა ვინმე თვენთაგანი გაჰბედავს და იტყვის, რომ ხალხს შეუყვარდება ჩვენი სახელმწიფო?

არასოდეს! და სწორედ ეს არის ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი საფრთხე ხალხის სიძულვილი დაღუპავს მას და დაიღუპება ჩვენი სათაყვანებელი იდეა თავისუფალი,ბედნიერი საქართველოსი რომლისათვისაც ესოდენი მსხვეპლი გავსწირეთ.

რომ ამ თითქმის უკვე წამხდარ საქმეს რამოდენიმეთ მაინც ვუშველოთ ჩვენი ამხანაგების მოვალეობაა ყველგან, სადაც კი მოიპოვებიან. ფეხზე დადგენ და შემოკრბეს თავიანთი ორგანიზაციებისა და კომიტეტების გარშემო.

ბამომოვეთ და ფეხზე დააყენეთ ყველა ცოცხალი ძალები, განსაკუთრებით სოფლის მუშეი და კარგად აუხსენი ეს გაეიმოეობა.

კრიტიკით მოქმედეთ მთავრობის უკანონოდ მომქმედ მოხელეთ და ორგანიზაციებს და ასწავლიდეთ ხალხს, რომ იგი პატივისცემით მოეპყოს მთავრობის კანონიერ მოთხოვნილებას, ხოლო ბრ უნდა დასტოვოთ უყურადღებოდ არც ერთი უკანონო ხელიჯი ითავრობის ნოხელეთა და სხვა ორგანიზაციათა, რომელნიც მთავრობის ფუნქციებს ასრულებენ ადგილობრივ.

ყოველი ეძისთანა შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტს, რომელმაც ძამინვე უნდა გამოიქვეყნოს, ასეთი ამბავი პარტიულ პრესაში უსათუოდ კომიტეტის სახელით უსიაოოვანების თავიდან ასაცილებლად. ყოველი ასეთი ცხობა შესაფერისად დასაბუთებული უნდა იყოს, რათა ამ ცხოვრებით შესძლოს საოგებლობა ჩვენმა პარლამენტის ფრაქციამ.

ამ გზით ბრ ამ ბაყალ და სანიფათო დროს თქვენის სახით, ამხანაგენო, ადგილობრივ უნდა შეიქმნეს სასტიკი კონტროლი ძთავრობის აგენტებისა და ორგანიზაციებისა. ბრავითარი ხათრი, ბრავითარი დაზოგვა და მორიდებასასტიკად გაბკიცხეთ ყველა მათი უკანონობა პრესაში და თვითმართველობათა ტრიბუნებიდგან, სადაც ჩვენი ამხანაგები არიან..

ამ მუშაობაში განსაკუთრებული მოხაწილეობა უნდა ბიიღოს სოფლისა და ქალაქის მუშეებმა. რომელთა ხურგს პიოველად მოხვდება ხოლმე მთავრობის აგენტის უკუღმა ბოქაეული მათრახი. გვერდში ამოიყენეთ ითელი ხალხი და ასწავლეთ პიოადი მაგალითით თუ როგორ უნდა კანონის შესრულება. აუხსენით ბას ახალი კანონები და ნათლად გააგებინეთ მისი მოვალეობა, რასაც სამწუხაროდ, მთავრობის ზოგიერთი მოხელე სრულეს ბით ვერ ახერხებენ.

ამ გზით თქვენ შეაყვარებთ ხალხ-ჩვენს სახელმწიფოს, დაანახვებთ, რომ კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან, ხოლო კანონის დამრღვევნი გინდ მოხელე, გინდა მოქალაქე ღირსეულ სასჯელს მიიღებენ.

ეს საქმე დიდი საქმეა, ამხანაგებო თუ გიყვართ ჩვენი ქვეყანა და მშრომელი ხალხი, არ უნდა დაიშუროთ ძალღონე ამ მუშაობისათვის, ოდგან ჩვენი სახელმწიფოს და თავისუფლების დაღუპვა, ჩვენი ხალხის, ჩვენი იდეალების დაღუპვაა, გახსოვდეთ, დიდი მსხვეპლია გაწირული და იგი უშედეგო არ უნდა იქნეს!

შეაყვარეთ ხალხს ჩვენი სახელმწიფო, მისი სამშობლო!

ს. მანიფაშვილი.

პარტიული მუშაობისათვის.

ჩვენი პარტიის 15 წლის ძოღვაწეობის ისტორია საუკეთესო ფურცლებია საქართველოს ცხოხრებაში. საქართველოს ადდგენა შეგვიძლია რამდენად ჩვენი პარტიის ფართე აგიტაციის შედეგაო ჩავსთვალოთ. 26 მაისი ეს უპირველესად ყოვლისა ჩვენი იდეების გამარჯვების დღეა.. 26 მაისს დაკანონდა ის, რასაც ქადაგობდა ნეტარხსენებული არჩილი. საქართველოს გაითავისუფლებას სიხარულით შეხვდა ითელი ქართველი ერი და განსაკუთრებით კი ჩვენი პარტია. ამ დღისთვის იბრძოდნენ ჩვენი სახელოვანი მესვეურნი... არ შეუშინდნენ ციხე-კატორღ.ს... არ არ შეუშინდნენ ტანჯვა-წვალებას.. ერთ წუთსაც არ დაუბრიაო წითელ ზროშა... ქედი არ ბოუხრიათ უსამართლობის წინაშე. ამ ბრძოლაშა ბევრი სახელოვანი მუშაკი დავკარგეთ, რომელთა სახელს თავისუფალ საქართველოს თავისუფალი ისტორიკოსი დიდებით ალნიშნავს და ოქროს ასოებით ჩაწერს საქართველოს მატიანეში, ჩათა ძმამავალმა თაობამ მოწიწებით ქედი მოუხაროს და თაყვანი სცეს ჩვენ მოლოსთვის წამებულთ. ჩვენი პარტიაც უშინდებოდა თვით უუსაშინელეს მოვლენას—სიკვდილს, ყოველივე ასხვეპლა ზვარაკად სწირავდა დაავადებულ სამშობლოს საასხვეპლოზე, ოდგან ღრმად სწამდა ოომ „ძმამავალი ჩვენია“ და მართლაც დღეს „ჩვენი თავი ჩვენსადვე გვეყუდნის,“ საქართველო თავისუფალია.. ფართე ასპაოეზია გაშლილი საზოგადოებრივ ძოღვაწეობისათვის, ფართე აგიტაციისათვის, და ამ გახანლებია ეაძა ადგას თუ ბრა ჩვენი პარტიული ორგანიზაციები თავის დანიშნულების სიმაღლეზე? სამწუხაროდ და საეალალოდ ამ კითხვაზე უნდა ვუპასუხოდ უარყოფითად. დღეს ფართე ასპაბი გულგრილი გაწყობილებაა საზოგადო კითხვებისადმი. ეს სეხი თან და თან ედება ჩვენ პარტიულ ამხანაგებს და... პარტიულ ორგანიზაციებსაც. დღეს როცა საქმროა გაა ბაკეული ეუშაობა, როცა ამკარად შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი გაძარჯვებით, როცა სამაღლის უმწვეოვანეს წერტილზე უნდა გვეპიროს პარტიული ბრომა... ეუშაობა ძოდუნდა... სულიეთი პესიმიზმი გამეფდა... ჩვენი ვალია ვებრძოლოთ ასეთ საზოგადოებრივ გაწყობილებას... გავაჩადოთ ეუშაობა. არ გვეეოფა ის, რაც ვიმოვეთ—კიდევ ბევრი გვაკლია... კიდევ ბევრი ძახეპლი გვესაქიროება... მაგრამ შოოს ჩვენგან უიმედობავ.ბრძოლა... ბრძოლა კვლავ საკაცობრიო იდეალების დასამყარებლად, მაშ მხნედ პარტიულ მუშაობისაკენ ამხანაგებო!

ალ. ბარამ,ძე

ჩვენი პარტიის მუშათა ორგანიზაციების გაერთიანებისათვის.

ამ მოკლე დროში საქართველოს პარლამენტი გახიხილავს და ალბათ დაამტკიცებს კიდეც იმ დებულებას, რომელიც დამფუძნებელი კრების ირჩევნების კომისიამ შეიეუშავა, პარლამენტი არჩევნების დღესაც დანიშნავს და გაჩაღდება მუშაობა,საარჩევნო ბრძოლა არსებულ პოლიტიკურ პარტიათა შორის. თავისთავად, ცხადია რომ ჩვენი პარტიაც, რომელსაც ყველაზე მეტათ თავს უდვია საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა და ცხოვრებაში გატარება ჩვენი მშრომელი ხალხის საკეთილდღეო რეფორმებისა, გულზე ხელებ დაკრებილი ვერ შეხვდება ამ მომენტს და შეეცდება, რომ არჩევნებში ხალხმა სრულიათ შეგნებულათ მის წარმომადგენლებს მისცეს ხმა. ჩვენი პარტია მდიდარია ინტელიგენტური ძალებით; თამამად შეიძლება ითქვას რომ დიდი ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა სოციალ-ფედერალისტების დროშის ქვეშა სდგას. ხოლო ესევე არ ითქმის მუშების შესახებ. მართალია, თბილისში და ქუთაისში ჩვენა გვაქვს მუშათა საკმაოთ თვალსაჩინო ორგანიზაციები, სადაც შეგნებულ მუშებს მოუყრია თავი, მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა მოვლენებმა შეუშალა ხელი ჩვენი პარტიის გარშემო მუშათა უფრო ფართო ნაწილის შემოკრებას.

მაგრამ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ამ ძიზეზების გადალახვა თუ ერთბაშათ, თანდათანობით მაინც მოსახერხებელია და ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი, რომლითაც ანიშნული დაბრკოლების თავიდან აცილება შეიძლები გახლავსთ თვით მუშათა ორგანიზაციების საკუთარი ძალებით ამუშავება, მათ მიერ სათანადო თაოსნობის გამოჩენა და „ჭირსა და ლხინში„ თვის თანამოძმეთა შორის ბეტის ენერგიით მოღვაწეობა.

ჩვენი ბიმართულების მუშებს უკვე ააქვსთ თვისი საკუთარი ორგანო, რომელიც „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მუშათა კავშირის“ სახელით გაბოდის. ოედაქცია ბიუწოდებს ამხ. მუშებს მეტის ყურადღებით ბოეკიდონ თვის ორგანოს, ხელი შეუწყონ მის გავრცელებასა, მოგვაწოდონ საგაზეთო წერილები და თვითონაც გაბოსთქვან აზრი, თუ როგორი საშუალებით შეიძლება მუშაობის გაცხოველება.

კეთილად დამფუძნებული კრების საარჩევნო სამზადისისათვის ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია მუშათა ორგანიზაციების შეკავშირება. ამ მიზნისათვის განსაკუთრებით თბილისსა და ქუთაისის მუშათა კავშირის გამგეობათ ეკალებათ, დაუყონებლივ მოახდინონ ახლი არჩევნები ახალი წესდების მიხედვით, შეაკავშიროონ გუბერნიებში ჩვენი პარტიის მუშათა ყველა ორგანიზაცია, ხელი შეუწყონ ახალი მიმდევრების შეძენას და ფართოდ აწარმოონ პარტიული მუშაობა. თბილისში კი შეკავშირებული ორგანიზაციების ბიერ უნდა აიარჩეს ცენტრი, რომელიც გაუძღვება მუშათა ორგანოს და პარტიულ მუშაობას ჩვენი ბიმართულების მუშათა შორის მთავარ კომიტეტთან შეთანხმებით აწარმოებს.

ერთი სიტყვით, ეს ცენტრი იქნება გამაერთიანებული და შემაკავშირებელი სოციალ. ფედერ.ლისტთა მუშათა ორგანიზაციებისა, რომელიც უმთავრეს მიზნათ დაისახავს „უშების სათანადო ბომზადებას (გაწეთისა და წიგნაკების გამოცემით, ლექციებით და სხვ.) და ბათში ფართო ორგანზაციულ მეთოქეობების გაცხოველებას. მრავალ წელთა ტანჯვისა და წამების შემდეგ მაისის 26 დან საქართველო კვლავ თავისუფალი და დამოუკიდებელია. და „თავისუფალი საქართველოს ყაკარჯენი, მისი ხაძდვილი „საფუძველი ქართველი ერის მშრომელი ხალხია, რომელსაც ამიერიდან სხვა ყველა ერთის მშრომელ ხალხთან შეუძლია გააბას სოლიდარობის და ძმობის კავშირი, როგორც დამოუკიდებელსა და თავ სუფალს.

ხოლო ის ქვეყანაა თავისუფლებით ძლიერი, რომლის მოქალაქენი, შრომის შვილნი თავის „საკუთარ აზროვნებას ბრიან მიჩვეულნი და სახელმწიფოს ბართვა-გამგეობითაც ახლოს ბრიან დაინტერესებულნი.

ამხ. მუშეო, ბოვალე ხართ „გამბნევთ ყველა ის, ვიაც მოდლილობითა და თანამედროვე ომის საშინელებით ცხოველმყოფელი რწმენა დაჭკარგვია. თქვენ უნდა დაეხმაროთ ყველა მათ ვინც „საუკეთესო იდეალებისათვის უთანასწორო პრიბრაზე ხსნეულებულა და „დაცემულა!

თქვენ ნ[illegible] ქვეყნის თანამედროვე ცხოვრების მრავალი სასაძაგლე და სიდუხჭირე! გახსოვდეთ, რომ თუ თქვენი ქვეყანა თავისუფალი დარჩა, ყველა ის მუწუკი, რომელიც შეიძლება ჩვენ სახელმწიფოებრივ სხეულს დღესაც ასახიჩრებდეს, მალე გაჰქრება, ვითა სიზმარი ღამისა, თუ კი თქვენ ერთგულ და მოუსყიდავ ფხიზელ დარაჯათ იქნებით მშობელი ქვეყნისა და „თავისუფლების წმინდა სადარაჯოზე! ყველგან და ყოველთვის შეუპოვარი ვიყოთ იმათ მიმართ, ვინც დაბალი, პირადი მოსაზრებით საქართველოსა და თავისუფლების ინტერეს ბს დალატობს. მაგრამ ყოველივე ეს რომ ნათლად შეგასრულოთ. საჭიროა მუდამ ვფიქრობდეთ თვითგანვითარებაზე, მუშაობაზე და „მოძრაობაზე. სიცოცხლე და მუდმივი წინმსვლელობა შეგნებული და განიერ მოძრაობაშია. იქ, სადაც არ არის ასეთი მოძრაობა, ჩნდება ჭაობი, ქვეწარმავალთა და ბაყაყთა სამეფო, რომლის „გარშემო საშინელი შმორის სული სდის.

ცხოვრების ასეთ ჭაობში ფესვს იკიდებს ბორიკანობა, სიზარმაცე, გონებრივი სიზანტე და ვინ იცის კიდევ რა! ღმერთმა გვაშორს ყოველივე ეს! მაშ ძველებურათ გაასკეცებული მუშაობისაკენ მოგიწოდებთ, ამხანაგებო!

Lux

ქართველ სტუდენტობას.

ყოველივე ერის განვითაოებაში უდიდესი მნიშვნელობა ახალგაზდობას აქვს. თუ ეს ახალგაზრდა თაობა არ არის მიძინებული, თუ ის მონაწილეობას იღებს ისეთ საკითხების გადაწყვეტაში, რომელთაც საზოგადო, ეროვნული ხასიათი აქვს, თუ ეს თაობა აქტივობას იჩენს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამისთანა ერი უზრუნველყოფილია დიდი ხნის არსებობის მხრივ და ღირსიც არის არსებობისა.

ჩაუკვირდეთ სხვა და სხვა ერთა ისტორიას და დავრწმუნდებით, რომ თუ როდესმე მას გასაჭირი შეხვდა, თუ როდესმე იგი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა, ამ ეროვნულ ტკივილს ერის ახალგაზრდა ნაწილი უფრო განიცდიდა და მის ინიციატივით იწყებოდა ბრძოლა მოხობის ასაშორებლად.

ასეთივე აქტივობას იჩენდა ახალგაზოდობა მუშათა საკითხის გადაწყვეტაში და ბისი საუკეთესო ნაწილი ბუდან ბუშებთან იყო და მათთან ხელი ხელ ჩაკიდებული იბრძოდა ეკონომიურ ჩაგვრის ბოსასპობად. გადაათვალიერეთ რუსეთის რევოლიუციის ისტორია და ნათლად დაინახავთ ა დიდი მონაწილეობას იღებდა რუსეთში ძცხოვრები სტუდენტობა რუსეთის ხალხოსნურ მოძრაობაში. თვითმპყრობელობასთან ბრძოლის დროს მუშათა ბიერ დადვრილ სისხლში ბევრი ახალგაზრდა ქართველ სტუდენტის სისხლია ბრეული, იმ ქართველ სტუდენტებისა რომლებიც არამც თუ არ ჩამოუვარდებოდენ რუს სტუდენტებს, არამედ ხშირად წინ უსწრებდენ კიდეც მათ, და რუსეთის დემოკრატიასთან ერთად იბრძოდენ საკაცობრიო იდეალებისათვის...

ბევრი რამ გამოიცვალა მის შემდეგ. საქართველო ჩაოიმორდა ოუსეთს და ქართველი სტუდენტებიც მშობლიურ კერისაკენ გამოიბრუნეს. დღეს საქართველოს დედა-ქალაქში აუარებელ ქართველ სტუდენტსა აქვს თავი მოყრილი.

როდესაც პიოველად გახსნეს ქართული უნივერსიტეტი, ყოველივე შეგნებულ მუშას გული ტკბილად აუძგერდა: დაიბადა იმედი, ოომ ოუსეთში გაფანტული სტუდენტობა თავს მოიყოიდა საქართველოში და თუ დღე დე ქართველი ეუშა მასთან დაუკავშირებელი, ობლად იბრძოდა თავის ინტერეს-ებისათვის, დღეიდან მაინც შეუეიოდებოდა მას და საბრძოლველ გზას გაიადვილებდა.

და მართლაც, რევოლიუციის პირველ წელში თითქოს გამართლდა მუ-

შათა იმედები და სტუდენტობა სოფლებს და ქალაქებს მოედო საპროპაგანდოდ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ რევოლიუციის პირველ წელს. დღეს, სამწუხაროდ, ის აღფრთოვანება, რომელიც პირველად ყველას ეტყობოდა, დღეს დაცხრა თვით სტუდენტებშიაც და ის ისეთივე გულგრილობას იჩენს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხების გადაწყვეტაში, როგორც საზოგადოდ ყველანი.

ეს მოვლენა განსაკუთრებით გულსატკენია სოც.-ფედერალისტ მუშებისათვის, რომელნიც მუდამ დარწმუნებული იყვნენ, რომ სტუდენტობა წინ გაუძღოდა მათი ინტერესების დაცვის საქმეში. და მათ ჯერ-ჯეროობით არც დღეს ჩამოუშორებიათ ეს იმედი. მათ კიდევ სწამთ, რომ ეს გულგრილობა მხოლოდ დროებითია, როგორც აუცილებელი რეაქცია პირველ აღფრთოვანების წინააღმდეგ.

სოც.-ფედერალისტ მუშებს კიდევ იმედი აქვთ, რომ ქართველი სტუდენტობა სულ მოკლე ხანში გამოფხიზლდება და საქართველოში ისეთივე აქტივობას გამოიჩენს მუშათა ინტერესების დაცვაში, როგორსაც რუსეთში იჩენდა.

სტუდენტობა მხოლოდ და მხოლოდ სააკადემიო მუშაობაში არ უნდა ჩაიფლას, მეტადრე დღეს, როდესაც საქართველოს ყოველივე ქართველის დახმარება სჭირია და როდესაც რევოლიუციის მონაპოვართ ჯერ კიდევ მოელით განსაცდელი. სტუდენტების მოქმედების ასპარეზი დღეს არ უნდა იყოს და არც შეიძლება იყოს მხოლოდ უნივერსიტეტის შენობა,—იგი ფართო საზოგადოებრივ და საპოლიტიკო ასპარეზზეც უნდა გამოვიდეს და თავის პირველნდელი ბრძოლა სოციალისტურ და ეროვნულ იდეალების გახსახორციელებლად კვლავ განაცხოველოს. ამ ხრივ ამედ ძოცემი იყო სოც.-ფედ. სტუდენტთა გასული კრება, როდესაც 317 სტუდენტი დაესწრო. ამაზანაგების სიტყვით, კიდევ ბევრი აკლდა კრებას. ეს ძალა ისეთი ძვირფასი გახლია ქართველ მუშებისათვის, რომელს-ც შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს საქართველოს ცხოვრებაში. სოც.-ფედერალისტი მუშები ხელს გაუწვდიან თანამოაზრე სტუდენტებს და იმედს გამოსთქვამენ, რომ ათი ხელი ჰაერში არ დაიჩება, სტუდენტობა ძველებურად აქტიურ მუშაობას დაიწყებს მუშებში და მათთან ერთად იქმენებ მათ ეკლიან გზაზე.

ერთად გვიჭირვოდ, მოვა დრო—ერთად ვილხენთ!

შილიკო.

დანშნაკელიების ძალები

ავანტიურა

წამებული სოციის ერის დაშნაკელებმა არ იქნა, ჭკუა ვერ ისწავლეს. ვინ იცის რამდენი უაზედურება დაატეხეს თავიანთი ბეცი პოლიტიკით თვის ძმობელ ერს, მაგრამ მათ გაძოსწორებას ალბა ეშველა ოა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ თანამედროვე პირობებში იგინი ჩვენთან ერთობასა და სოლიდარობას ინარჩუნებენ, რომ შეთანხმებული მუშობითა დაგვხანა ორი ძმობელი ერი განსაცდელისგან. მაგრამ ბოვტყუვდით.

დაშნაკელებმა ერთობა ისევ ოსმალეთთან ალაჯობინეს და საქართველოსაგან ბორჩალოს მაზრის ბეიალადებული ძალით ჩამორთმევა გახიზნეს. რა ალბა ეს, თუ არა სახიზღარი ავანტიურა?

დაშნაკელები ოსმალეთთან შეთანხმებულან!? ჩვენ არ გვაშინებს ალბალტის ოესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა გამოლაშქრება, მაგრამ ვაწუხართ, ვსწუხართ, რომ დაშნაკელების საქციელი უბსკრულს უთხოვს ორი ერის კეთილ ძმობლურ გახწყობილებას და კვლავ ალრაღვებს უთანხმოებას.

და ნუ თუ ეს სომეხთა ერის მთავრობისათვის ხელსაყრელია!

ჩვენ გულწრფელად ვურჩევდით მათ, ერთხელ და სამუდამოთ აიღონ ხელი ასეთ ავანტიურობაზე, თორემ ხეიოს არ დააყრიან თვის გასაწამებ ქვეყანას.

მაგრამ ამაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ დედაქალაქში სომეხთა შეიარაღებული ნაწილი, რომელიც მანთაშევის ქარვასლაში იმყოფება, აპატიმრებს საქართველოს მოქალაქის, აწამებს მას და, როდესაც ქალაქის მილიციის უფროსი ამ ქარვასლაში საქმის გამოსარკვევად მიდის ეს ნაწილი იარაღით ხელში, პულემიოტებითა და ყუმბარებით აპირებს მათ წინააღმდეგ ბრძოლას.

გამოდის, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მეორე დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეუქმნია თვისი განსაკუთრებული ბინა და ვინც მასში შესვლას განიზრახავს, მას შეიარაღებული ემუქრება. სახელმწიფო სახელმწიფოში!? ესეც ახალი ამბავია!

ჩვენი მთავრობა ვალდებულია დაუყონებლივ გამოასწოროს უპირველესად ყოვლისა მისი შეცდომა და ჩვენს ტერიტორიაზე მოსპოს ყოველგვარი უცხო შეიარაღებული ძალა. ჩვენი მეზობლების ბატონ პატრონთ კი ერთხელ კიდევ ვურჩევთ: ხელი აიღონ საბოლოოდ ასეთ ავანტიურაზე, თუ სხვა არ ებრალებათ, შეიბრალონ თვისივე მრავალტანჯული ერი და მხოლოდ მეზობელ ხალხთან მეგობრული განწყობილების დამყარებით ეძიონ საშუალება მშობელი ქვეყნის აღორძინებისა.

ა. წ.

ზავის მოლოდინში

გამოცხადდა თუ არა თანამედროვე ომი, ერთი მოხუცი გლეხი გაკვირვებული მეკითხებოდა: „მეითხარით, თუ დმერთი გწამდეს, რა არის მიზეზი ამ ომისა; ნუ თუ არ შეუძლიათ სახელმწიფოებს გარკვეული საზღვარი დასდვან თავის სამფლობელოთა შორის და ურთიერთს მტკიცე ფიცით აღუთქვან, რომ მას საწვილისშვილოდ დაიცვავენო.“ გავიდა ერთი კვირა და იგივე გლეხი სულ სხვა სახით მეგებებოდა; სჩანდა, რომ მის სადა და მარტივ აზროვნებას ერთგვარი ცვლილება განეცადა. ცხადი იყო, რომ თანამედროვე ამბებს ცოტად თუ ბევრად უკვე მიეკარა მისი ყურადღება და იგიც თავისებურად სცდილობდა მის ფარომომშობ მიზეზთა გარკვევას.

თანამედროვე უსაშინელესი ომის გამომწვევი ბევრი რამ იყო, რომლის ჩამოთვლასაც ამ ჟამად საჭიროდ არა ვსცნობთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ომი ბუნებრივი და სრულიად ლოგიკური შედეგია ევროპის იმ მდგომარეობისა, რომელიც გახსაკუთრებით 1871 წლიდან დამკვიდრდა და რომელსაც „შეიარაღებულ მშვიდობიანობას“ ეძახდენ. ევროპის “კულტუროსანმა“ სახელმწიფოებმა სავსებით შეითვისეს რომაელთა ძველი თქმულება. „თუ მშვიდობიანობა გსურს, ომისათვის მოემზადეო“ და მას ხორცი შეასხეს, სინამდვილედ გარდაქმნეს. ერთი მეორის შეჯიბრებაში მათ ხალხის ნივთიერი თუ სულიერი ცხოვრების უდიდესი ძალა საზღვარ დაუდებელ შეიარაღებაა დაუმონეს. თვითეული სახელმწიფო დარაზმული იყო საომრად და თუ ევროპის დიდმა ცივილიზაციამ გვასწავლა უდიდესი ცხებები თავისუფლებისა და კაცთმოყვარეობისა, იგივე ცივილიზაციის მეოხებით წარმოიშვა 42 სანტიმეტრიანი ზარბაზნები, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო ერთად მრავალი სიცოცხლის შეწყვეტა... და მართალი იყო ერთი ისტორიკოსი, რომელსაც თანამედროვე ევროპის ძლიერი სახელმწიფოები სამხედრო ბანაკად წარმოედგინა. ხოლო თოფის წამლით გაჟღენთილ ატმოსფერას თავისი გასაკალი უნდა ეხახა და იგიც დღესდღეობით თანამედროვე უსაშინელეს ომში გაშოისახა.

ეჭვს გარეშეა, ამ ომს დიდი გავლენა ექნება მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე. ცხადია, რომ იგი მრავალ დირებულებათა, თუ სრულ გადაფასებას არა, მათში მრავალ შესწორებათ მაინც გამოიწვევს. მაგრამ თითოეული მოვლენის ნათელი გარკვევა მაშინ უფრო შეგვიძლია, როდესაც მას რამოდენიმე ძახძილით მაინც დავშორდებით. და ეხლანდელი ომის სრული დაფასებაც მაშინ შეგვეძლება, როდესაც კარგა ხანი გავა დღიდან მისი დაცხრომისა...

* * *

ამ ომის დროს გაისრისა და მიწასთან გასწორდა მრავალი პატარა სახელმწიფო: სერბია, ჩერნოგორია, ბელგია, რუმინია, ბულგარია... ომის ცეცხლიდან წარმოიშვა რუსეთში დიდი რევოლიუცია. რომლის დროსაც ყოფილი რუსეთის იმპერია რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიყო, დანაწილდა. და ამ დანაწილებაში წარმოიშვა ჩვენი საყვარელი საქართველოს დამოუკიდებლობაც...

დიდი სახელმწიფოთა შეტაკების დროს უმწეოა ბედი იმ პატარა ერებისა, რომლებიც მათი მოქმედების გავლენის ქვეშ მოჰყვებიან. მიემხრობა ერთ მებრძოლ კოალიციას, ვაი თუ იგი დამარცხდეს, გადავიდეს მეორეს მხარეზე, ვაი თუ მას უარესი ბედი ეწიოს და პირველისაგან საშინელი შურისძიება იწვნიოს...

ამიტომაც ამ საშინელ ქარტეხილს, მხოლოდ ის პატარა ერი გადაურჩება: რომლის სახელმწიფოებრივი გემის მესაჭენი დიდი გამოცდილებითა, მოვლენათა სათანადო დაფასებითა და სამშობლოს სიყვარულით აღჭურვილნი და გატაცებული არიან...

თანამედროვე უსაზღვრო სისხლის ღვრაში მთელი კაცობრიობა დიდ ოკეანეს დამსგავსებია, რომელზედაც დიდი გემები ერთი მეორეს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ და თავის საკუთარ მოძრაობას და სრბილას თან აყოლებენ პატარა მაგრამ ლამაზ გემებს, რომ დაუნდობლათ გადაჩეხონ ზღვის უფსკრულში...

ამიტომაცაა, რომ ჩვენ არ გვჯერა და უკეთეს შემთხვევაში დიდი იეჭვი გვეპარება ძლიერ სახელმწიფოთა განცხადებაში, თითქოს იგინი თავისუფლებისა, ადამიანობისა და პატარა ერების განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

არა, მათ თავისი საკუთარი ინტერესები—იმპერიალისტური ზრახვანი და ხულისთქმანი ამოქმედებთ და თავის მატყუარა ანკესზე სურსთ შეუბრალებლათ წამოაგონ წვრილი ერები და სახელმწიფონი, რომლებიც მხოლოდ იმაში არიან დანაშაულნი, რომ სიცოცხლე და კეთილდღეობა სწყურიათ.

ერთი რამ კი სრულიად ნათელი ხდება. სახელდობრ ის, რომ საბოლოო გამარტოვება ვერც ერთ კოალიციას ვერ ხვდება, ვერც ინგლისის კოალიცია სძლევს საბოლოოთ გერმანიის კოალიციას და ვერ გერმანიის ინგლისისას და ამდროს სხვათა შორის, თავისუფალი და ცოცხალი ერი საფრანგეთის სისხლიდან იცლება, მაგრამ ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტებს ამისთვის არ სცხელათ. მათ უნდათ უეჭველათ გაიმარჯვონ გერმანიაზე არა იმიტომ, რომ ყველა ერს სიცოცხლე და თავისუფლება შიანიჭონ, არამედ იმიტომ, რომ ამით ახალი ასპარეზი და ადგილები მოუპოონ თვის კაპიტალს.

მკითხველებს ენახსოვრებათ, რომ ბულგარეთის ომის რკალიდან გამოსვლის შემდეგ, გერმახიამ, ავსტროუნგრეთმა და ბოლოს ოსმალეთმა ამერიკის პრეზიდენტს ვილსონს ნოტით ძიმართეს, რომელშიაც ადიარეს, რომ მზად არიან შეუდგენ ზავის ჩამოგდებას ვილსონის მიერ ადიარებულ დებულებათა სიხედვით მაგრამ ამერიკამ ოფიციალური პასუხი გასცა; გერმანიისაგან მოითხოვეს დაპყრობილ ადგილების გაწმენდა, წყალქვეშა ნავების ალაგმა და იმ ველურობის აეჩერება, რომელსაც გერმანელები სჩადიან დაპყრობილ ადგილებში დატოვებულ ქალაქების განადგურებითო. გერმანია ძეორე საპასუხო ნოტაში აცხადებს, რომ იგი მზადაა, თვის წყალქვეშა ნავებს სამოგზაურო გემების გახადგურება აუკრძალოს, თუ მოკაყშირეები ამით გემებზე სამხედრო მასალებს არ გადაზიდვენ, ხოლო ყითომდა ჩადებილ ველურობის გამოსარკვევათ საერთაშორისო კომისიის შედგენას მოსთხოვენ.

მაგრამ სავსებით მოვისმინოთ დეპეშათა სააგენტოს მიერ გადმოცემული ტექსტი გერმანიის საპასუხო ნოტისა, რომელიც ჩოდილოეთ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გადაეცა:

„გერმანიის მთავრობა, როდესაც მან თანხმობა განაცხადა დაპყრობილ ადგილთა დაცლაზე, ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ ამ ადგილთა დაცლისა და დროებით ზავის პირობების შემუშავება მიენდობა სამხედრო სპეციალისტებს და რომ მას საფუძველათ დაედებოდა ფრონტზე არსებული ძალთა განწყობილობა, უზრუნველმყოფელი ამ შეთანხმებისა. გერმანიის მთავრობა წინადადებას აძლევს მეერთებული შტატების პრმიდენტს, შექმნას მან საჭირო პირობები ამ დეტალების შესამუშავებლად. გერმანიის მთავრობას სწამს, რომ ამერიკის პრეზიდენტი არ მოიწონებს ისეთ წინადადებას, რომელთაც მიზნათ ექნება დამცირება გერმანიის ღირსებათა და საძართლიანობისა: რომლის საფუძველზედაც უნდა ადმოცენდეს მომავალი ზავი. გერმანიის მთავრობა უსაფუძლოდ სთვლის, იმ საყვედურებს, რომელსაც ავრცელებენ მისი ქვეითი ჯარისა და საზღვაო ძალთა მოქმედების სიმკაცრის შესახებ. ნგრევა-განადგურება საერთაშორისო კანონით არის ცნობილი, როგორც საშუალება უკან დახევის უზრუნველსაყობად. გერმანიის ჯარს ნაბრძანები აქვს დაზოგოს კერძო საკუთრება და რამდენადაც შესაძლებელი იქნება იზრუნოს მცხოვრებლებზე. მათ ვინც დანაშაულებას ჩადენს, დასჯიან. გერმანიის მეზღვაურები, გემების ჩაძირვის დროს ღუპავენ აგრედვე გამველ ნავებს მგზავრებთან ერთად. გერმანიის მთავრობა მოითხოვს შესდგეს ნეიტრალური კომისია, რომელიც სისწორით გამოარკვევს ყველაფერს. რომ აღარ ქონდეს მიზეზი ზავის დაყოვნების საქმეს, გერმანიის მთავრობამ უბრძანა ყველა წყალქვეშა ნავის უფროსებს აღარ ჩაძირონ სამგზავრო ნავები მაგრამ ტეხნიკური მიზეზის გამო არ შეიძლება პირობის მიცემა, რომ ეს ბრძანება ყველა წყალქვეშა ნავის უფროსამდე მიაღწევს. ვიდრე ისინი არ დაბრუნდებიან თავის სადგურში. ზავის დამყარების უმთავრესი პირობა ალბის, როგორც განსაკუთრებით ადნიშნავს პრეზიდენტი, იმ მთავრობის მოსმენა, უპასუხისმგებლოა და შეუძლიან დაარღვიოს საერთაშორისო ზავი. ამაზე გერმანიის მთავრობა უპასუხებს: გერმანიის მთავრობაში ჯერჯეროობით მთავრობის შედგენაში სახალხო წარმომადგენელთ ძალა არ დაუტანიეთ.

კონსტიტუციაში არ იყო ხათქვამი, რომ ხალხის წარმომადგენელნი ომის და ზავის საკითხში მონაწილეობას მიიღებენ. ამ შეთხვევაში კარდინალური ცვლილება მოხდა: ახალი მთავრობა შედგენილია ხალხის წარმომადგენელთა სუფლის თანხმად რომლის პრინციპია საყოველთაო თანასწორი, ფარული და პირდაპირი კენჭის ყრა, ოეიჰტაგის უმთავრესი კარტიათა ლიდერები მთავრობაში შევიდეს. მომავალშიც ვერ შესდგება და ვერ იარსებებს ისეთი მთავრობა, რომელსაც რეიჰტაგის უმრავლესობის ნდობა არ ექნება. ოეიჰკანცლერის პასუხისმგებლობა ახალი მთავრობის წინაშე ისაზღვრება კანონით და უზრუნველყოფილია. გერმანიის ახალი მთავრობის პირველი ხაბიჯია იმ კანონის ძალების წინადადება, რომლითაც კონსტიტუცია იცვლება ამ გვარად, რომ ომის და ზავის საკითხის გადაწყვეტაში აუცილებელია სახალხო წარმომადგენელთა თანხმობა, ახალი სისტემა ხასგომლივებისა, გარანტიას უზრუნველყოფს ალბა მაინტ კანონი, ალბამედ გერმანიის ხალხის შეუფუფველი სუფვილი, რომელიც დიდი უპირველესობით მბარს უპეოს ამ რეფორმებს და ენერგიულად მოითხოვს მათ გაფართოებას პრეზიდენტისა და ძის მოკავშირე მთავრობათა პასუხზე, ძლევა გაოკვეულ პასუხს, რომ ზავის და დროებითი ზავის წინადადებას იძლევა სრულიად თავისუფალი და დაოუკიდებელი ძთავრობა, გერმანიის ხალხის უმრავლესობის სრულ თანაგრძნობაზე დამყარებული.

ეს დეპეშა მრავალ მხრივაა საყურადღებო. იგი ნათლად გვიმტკიცებს, რომ გერმანიის მთავრობა გულწრფელათაა ალაწადინებული, რომ ამ საშინელ სისხლისღვრას ბოლო მოეღოს თუ ახლა ველოალაში მივიღებთ ზავის სასარგებლოდ მიმართულს იმ ძლიერ მოძრაობას, ინგლისისა, იტალიისა და საფრანგეთის ძუშებსა და სოციალისტურ წრეებში რომ ადგილი აქვსთ, დავრწმუხდებით, რომ ზავი მართლაც უნდა ედირსოს მოკლე ხანში სისხლისაგან დაწრეტილს კაცობრიობას.

ბევრი შრომა იქნება საჭირო, რომ საზაო კონგრესმა [illegible] გვინოს, რომ ადადგინოს ტლანქათ გათელილი სამართლიანობა დიდი ცდა იქნება საჭირო ბევრედვე ზავის ჩამოგდების შემდეგაც, რომ კაცობრიობას მოშორდეს ის მხეცური ინსტიქტები, რომლებმაც ამ ომის დროს სიცხადით წამოჭყვეს თავი მერე ვისი საქმე და მოვალეობაა ყოველივე ეს?

ა. წ.

მანთაშევის ქარვასლაში

ოქტომბრის 21-ს ტფილისში სომეხ-ქართველთა დამოკიდებულების დამახასიათებულ ერთს მეტად დამაფიქრებელ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. რამაც ისე გაამწვავა მდგომარეობა, რომ ჩვენის მთავრობისა და ტფილისის ქალაქის თავის ტაქტიკურსა და ფრთხილ საქმეში დროზე ჩარევს არ ჰგონებოდა ადგილი, ადვილად შესაძლებელია სისხლის ღვრაც მოხდებოდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ სიონის ქუჩაზე მანთაშევის ქარვასლაში ჩვენის მთავრობის დაუკითხავად სომხებს მოუწყვიათ საწყობები, სადაც მოეპოება ხაოაზნები, ტყვიის მფრქვეველები, დიდ ძალი თოფები, ყუმბარები ტვვია-პატრონები და სხვა და სხვა საბრძოლო მასალები. მკითხველებისათვის აშკარაა, თუ რამდენად საშიშია ქალაქის შუაგულში ამოდენა ასაფეთქებელ მასალის შენახვა სხვა რომ ალბა ვთქვათ რა, ამ რამდენიმე ხნის წინად გახსაკუთრებულმა რაზმა ეჭვი მიიტანა მანთაშევის ქარვასლაზე და როდესაც გაჩხრეკის შემდეგ ეს ამოდენა მასალა აღმოაჩინა გაკვირვებულ ჩვენი მთავრობის წინაშე დიპლომატია წარმოდგა და შესთახხმდნენ, რომ დროებით საწყობები თვის ადგილზე დაჩენილიყო. სომხების ამ საწყობების დასაცავად ერთი როტა შეიარაღებული ჯარი დაუყენებიათ. ისეთ შეუსაბამობის შესახებ ტფილისის ქალაქის მილიციის უფროს რამდენჯერმე მესაფერი დოკისძიება უხმარია, მაგრამ მდგომარეობა უცვლელად დაჩენილა იმის გამო, რომ სომეხთა წარმომადგენელი ითათბირებდა ჩვენებს ალბა დღეს, ალბა ხვალ მოგაშორებთ და წავიდეთ ტფილისადან ამ ქონებასაო. საქმის ასე გაბაიბეიის გამო სომეხთა ოოტის უფროსთა ძეობებით ისეთი ხასიათი ბიიღო ძათმა სიონის ქუჩაზე დგომამ ამ უკანასკნელ ხანებში, რომ ყველანი ითქვის გაიძახოდნენ: რასა ჰგავს ყოველივე ეს ეს ხომ სახელმწიფოა სახელმწიფოში, როდის მოედება ყოველივე ამას ბოლოვო და სხვა.

ოქტომბრის 21-ს ინციდენტი გაქოიწყა მეძდეგი გარეობა: საერთო ბიბილზაციის დროს 1915—16 წლებში ჯარის კაცად ქუთაისის ტყეოვანებულ ალა გახოდა ბაკვი ბოიე სიბაოულიძეც წაუყვანიათ. როგორც ,ოიკვეა ბოიე სიბაოულიძეს ბაანიბაცვლად მყოლია ვიხეე კაბაკტიანი. ეს გაოეძოება სიბაოულიძეს ჯარის ბაკითხალიზაციის დროს გამოუცხადია და ოოცა მისთვის უჩვენებია, თუ სომხეთის ხაწილი ჩაეწყოეაი, ჯარაგირად თვეში 150 ალ. გეკაცეთ, ბაანაც ბატეოიალუბად წახალიეულ თავი მოეე კაბაკტიანად გამოცხადებია და სომეხთა ხიწილში ჩაწეოილა. ალექსანდრეს ქუჩაზე თავისუფალ ცეცხლის აკრობელ ოახმის სადგომში აქამდე სომხეთა საბერდრო მასალის საწყობები ჰქონდა სოწყობილი. ვიდაც ბოროტ-გახაზრახველებს ამ საწყობიდან ოაძდენიმე თვის წინად ოიდაც ხივთები ბოუპარავთ. მოსე სიხაოულიძეს მიუღია ოაიმე მონაწილეობა ამ ქურდობაში თუ არა, არ ალბის გამოკვეული, მაგრამ ოალაც მიზეზისა გამო მას მათთან სამსახური აღარ ძოსურვებია და ოადგანაც ძობილიზაციით ძოუთხოვნიათ იგი ძეოთხე ქართულ პოლკში გაუმწესებიათ, სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმომადგენლებს სიხაოულიძე ბიუკვლევიათ და ძეოთხე პოლკიდან მოუთხოვნია ეს ჩვენი ჯარის კაცი კარაპეტიანი და კადოგვეცითო. არ ვიცით, რა საბუთით მეოთხე პოლკის უფროს მოსე

სიხარულიძე თამამშვილის ქარვასლაში მდგომ სომეხთა როტისათვის გადაუცია. იქ მას, როგორც თვით სიხარულიძე აცხადებს, საშინელი ტანჯვის დღეები გაუვლია, სიხარულიძე ქარვასლაში მიუყვანიათ ოქტომბრის 16-ს დღით ხუთშაბათს. როტის მეთაურების განკარგულებით, როგორც დაპატიმრებული ამბობს, იგი ნამდვილ ინკვიზიტორულ სატანჯველში ჩაუყენებიათ. უკან თოკით შეუკრავთ ხელები უცემნია მაგრად და სხვა.

საღამოთი მოსულა როტის უფროსი კაპიტანი შახმურადოვი და როდესაც შეუტყვია, რომ სიხარულიძის „მიშველის“ ხმაურობისათვის სხვებს ყურადღება მიექცია გაუშლია მასაც „ვაჟკაცურად“ უთხლეშია: როგორ გაბედე ყვირილი და ღრიალი, როდესაც წიხლებით შეგდგნენ და გტანჯავდნენო მეოთხე დღეს, კვირას ოქტომბრის 20-ს შაქრო ჯარისკაცი მეორედ დადგომია თავზე მოსე სიხარულიძეს დაუმიზნებია რევოლვერი და უთქვამს, მითხარი, ვინ გაქურდა სოლოლაკში შაქროს სახლი, თორემ ეხლავე მოგკლავო. ბავშვს შეშინებია სიკვდილისა და რომ უბედურობა თავიდან აეშორებია განუცხადებია: ეგ ქურდობა მექუდე სერგო ბაგატურიამ ჩაიდინაო.

ბავშვის ტანჯვის ამბავი მისვლია ტფ. ქალაქის მილიციის უფროს აპოლონ პ. ურუშაძეს, რომელსაც ოქტომბის 21-ს თან წაუყვანია სუთი მილიციონერი და წასულა გამოსაძიებლად, გაეგო, რაში იყო საქმე. მილიცია როდესაც ეზოში შესულა, მაღლა სართულში ჯარისკაცებს თოფებისათვის წამოუვლიათ ხელი და ერთი ალიაქოთი აუტეხნიათ, თუ რატომ „ბედავს მილიციის უფროსი იქ შესვლას ბ-ნს ურუშაძეს ზედა სართულში მოხმაურე ჯარისკაცების აუგზავნია უფროსი მილიციონერი ვალიკო ასათიანი, დათიკო ურუშაძე, კოძისარი კვერკველაძე და სისხლ. სამარ. მილიციის უფროსი ქორდანია. ამათ პირველ ხანებში მღელვარე ჯარისკაცები დაუწყნარებია, მაგრამ როდესაც მათს უფროს განკარგულება მოუხდენია ხიშტზე ააგეთ ქორდანიაო და თანაც გამეტებით მოუწევიათ, ბ-ნ ურუშაძის განკარგულება მოუხდენია მილიციონერები ქუჩაში გამოსულან. მაღე ორასამდე მილიციონერს მოუყრია თავი და ცოტა კიდევ დაგვიანება, ან ერთი პროვოკაციული რევოლვერის გასროლა საკმაო ყოფილა, რომ მოწინააღმდეგენი საკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთს სტაკებოდნენ. მილიციის უფროსს ბ-ს ურუშაძეს აღელვებული მილიციონერები შეუკავებია, განკარგულება მოუხდენია შეეკრათ ქუჩები სიონის ქუჩის გარშემო, წინ ერთი ნაბიჯიც უმისოდ არ გადაედგათ და თვით საჩქაროდ შინაგან საქმეთა სამინისტროში წასულა საქმის ვითარების მოსახსენებლად.

ამ სურათის მნახველებს დიდი სატანჯველი გამოუვლიათ ქარვასლაში მომუშავეთ. საჩქაროდ მთელი უბანი დაიკეტა და ხალხი გაიკრიბა, აქვე ქარვასლაში ქალაქის გამგეობის განკარგულებით მოწყობილია კანცელარია, სადაც ქალაქის მდივნის ვასილ ხახანაშვილის მეთაურობით კარგა დიდი შტატი მოსამსახურეებისა ქალაქის საბჭოს საარჩევნო სიებს ამზადებენ. აუწერელ მდგომარეობაში მოემწყვდნენ ქალაქის მოსამსახურენი. შიშისაგან აკანკალებულებმა, არ იცოდნენ საით წასულიყვნენ, რადგანაც მათ კარები ჩაეკეტათ. უფრო კიდევ დიდი ღრიანცელი დაბადა მოსამსახურეთა შორის შიშმა იმის მოლოდინში, რომ შეტაკება ორ მოწინააღმდეგეთა შორის შესაძლებელი იყო, ბევრს გული წაუვიდა და ზოგი სად იმალებოდა, და ზოგი სად, როდესაც გაიგეს როტამ ქუჩაში გამოდგა ტყვიის მფრქვეველები, თოფები მოირჯვა და უცდი. მოწინააღმდეგეს. ვასო ხახანაშვილმა თუმცა მას რამდენჯერმე ხმა ჩააკმედი ნეს მოძალადეებმა, გაბედა პროტესტი მათ წინააღმდეგ და მოსთხოვა კარი გაეღოთ და გაეშვათ შიშის ზარისაგან შეშინებული მოხელენი.

ბ-ნს ხახანაშვილს როცა თავი დაუღწევია მოსალოდნელ უბედურებისაგან, თანამოსამსახურეებით წახულა და ყოველივე ქალაქის თავის ბ-ნ ნიკო ელიავასათვის უცხობებია.

მალე ადგილობრივ მოვიდა ქალაქის თავი, მილიციის უფროს პ. ურუშაძე, მთავრობის წარმომადგენელი, სომეხთა დიპლომატიური წარმომადგენელი, ბ-ნი ჯამალიანი და მათის საქმეში ჩარევით ეს მეტად უცნაური ინცინდენტი უსისხლოდ დამთავრდა მთავრობის განკარგულებით საქმის მთელი ვითარების შესწავლას და გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

ჩელა

კვირეული

ერთი რამ ხდება ჩვენს ცხოვრებაში: სოც.-დემოკრატია ნაცად გზას ვერ ლალატობს და ძლივს გაერთიანებულ სოციალისტურ ფრონტებიდან გამოსვლას ლამობს. ასეთია მისი მუდმივი ბუნება. ეროვნულ საბჭოში ერთსულოვნობას თან და თან უდგება წყალი და დრო ყვალაფრის თავის კალაპოტში მომქცევი ალბად მეტად არა სასურველ სურათს გადაგვიშლის თვალწინ... ამბობენ სოც.-ფედერალისტები მეტად საყვარელი ხალხია ჩვენ მათთან ერთად ვართ და ვიქნებით მაგრამ... ყველა კარგად ხედავს და გრძნობს იმას რასაც სოც.-დემოკრატიული ქვედა პალატა ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებს—საბუთი მრავალია უსხელეშვილიდან მთელ რიგ ახმანაგების დათხოვნით დამთავრებული... სიყვარულიც და ერთობაც ამას ჰქვიან ალბად... მეოთხე თვეა ქართველ ერს დამოუკიდებლობა ეღირსა მაგრამ .. ჯერ ქართველი კიდევ რუსეთში ცხოვრობს ყოველ შემთხვევაში შინაარსი იგივეა—ყველა ჩვენი დაწესებულებებში ჯერ კიდევ ჩრდილოეთის აზრებით აზროვნობენ და რუსული ენა ხომ არსენიძეებმა და კომპანიამ საქართველოს პარლამენტშიც შემოგვიტანეს. ეშმარიტად სოც.-დემოკრატია ეროვნულ მოღვაწეობას ღირსეულად განაგრძობს!..

*
* *

ახალ-ციხე და ახალ ქალაქი დაგვიბრუნდა!.. ეს კვირე მეტად ძვირფასია ჩვენთვის! ვისზედაც იღვრებოდა წმიდა ცრემლები ქართველი დედის დღეს ჩვენთან არიან! ძმები მოვიდენ სალამი მათ მობრძანებას! მაგრამ, ალბად ახლა იქ თავს იჩენს ან ახალი „ვანდეა“ ან „ბოლშევიკები“ და საჭირო იქნება მოკვიანება. ყოველ შემთხვევისათვის კომისრების „პროტეჟე“ სადაც საჭიროა უკვე დაიწყებოდა და შინაგანი წესიერების მცველნი უეჭველად გვასახელებენ! როგორც ყოველგან ჩვენს სამშობლოში... თქმა არ უნდა მეტი სეფრთხილე მეტი წინდახედულებაა საჭირო, ოდნავ უხეიროდ გადადგმულ ნაბიჯს შეუძლია ისევე დაგვღუპოს... ჩვენს მაჰმადიან ძმებს უნდა ვაჩვენოთ პარტიულობა კი არა ყოველის უწინ, არამედ ქართული ძმური მეგობრობა და სიყვარული. გერმანიაზე ლაპარაკობენ... ჩვენამდე მოწეული ხმები მეტად მოკლე შინაარსის არიან, მაგრამ იქაც ისმის ზოგადად თუ რა მოხდა! შეიდემანი ვილგელმის კაბინეტში! სჩანს დრონი იცვალენ! მაგრამ რას ფიქრობს გერმანიის ხალხი? დაღუპული რუსეთი რევოლიუციას გლოვობს იქ ახლა მხოლოდ იყოვლა წითელმა მამალმა... გერმანიის ქარხნებიც მარსელიეზას გუგუნებენ. ალბად ცეცხლი ეკიდება საერთაშორისო სასახლეებს! მუშური ყელინა მთიდან მთამდი გადმოძახილს პოვებს! სდუმს მხოლოდ გულზე ლახვარ დაკრული ინგლისი... ლამაზი პარიზი დღესაც კოკეტკობს მაგრამ კეთილშობილი საფრანგეთი ალბად იცნობს ამ უცნაურ ალიონის წინამორბედის ყიყილს! მუშათა ლაშქარი ყველაზე უფრო ფხიზლად მხოლოდ დღეს უნდა იდგეს ინტერნაციონალის თეთრი დილა ალბად გასუსხავს ამ უკუნეთ თალხიან დამეს! რას იტყვიან ხვალ? გერმანიამ ლამაზი კენწლაობა დაიწყო ვნახოთ პირველი ვინ გამოვა ამ სისხლით მოლიპულ კაეშნის ველზე სიყვარულის თეთრი ხელთათმანით??!

გენერალი ალექსეევი გარდაიცვალა! აცხონოს რუსების ღმერთმა „მათი ქვეყნისთვის უძგერია ფული..“ ჩვენ ჯარებს ძალიან სწყურიათ თურმე „Товарищ“-ებთან გათამაშება—დენიკინიც არ დააყოვნებს! დაგვაფეთებენ! —და შემდეგ ადარაფერი დენიკინიც გადაიცვლება—რუსეთი ამ ბოლო დროს სიკვდილეთია!.. მარჯვე სროლა იციან რუსებმა: ლენინი ირჯელ... მოკლეს, მაგრამ მამათ მთავარი საერთაშორისო პროლეტარიატის ნათრევ ძვლებში კვლავ ინახავს რაინდ სულს!, ჩვენ კი მადლობა ღმერთს სიმიდი თუ გვექნა მილიონ ნახევარი მაინც ვართ! მობრძანდენ თუ უსაშველოა!.. მაგრამ თუ რუსეთ ის რევოლიუციას სიკვდილი უწერია, სულაც არ გვინდა ჩვენში დაეცეს მისი რაინდი სული და ამიტომაც ალბად ვინც მახვილი აღილო მასზე მახვილითვე დასცემს მას!..

ალ. ოთხელიანი.

ახალი საფრთხე

დამოუკიდებელ საქართველ სვე-ბედი დღეს ორ სოციალისტურ პარიათა ხელშია.—სოციალ დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების. რამდენად ეს პარტიები შესძლებენ მტკიცედ, შეურყევლად საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და ქართველ მასაში ეროვნულ თვითშეგნების შეტანას, იმდენად საქართველს და ქართველი ერის ბედი უზრუნველყოფილია. ეს დღეს უპირველესი საზრუნავია. ამისკენ უნდა იყვეს ორივე პარტიის გზა მიმართული, მაგრამ საუბედუროდ ამ მხრივ აღნიშნულ პარტიათა შორის დიდი განსხვავება არსებობს.

ჩვენ ხშირად გვითქვამ და ეხლაც ვიმეორებთ, რომ სოციალ დემოკრატია ვერ იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის ერთგული დამცველი. ეს ის პარტიაა, რომელიც მთელი თავისი ძალ-ღონით იცავ ხუთი წლის განმავლობაში ეროვნულ განთავისუფლების წინააღმდეგ ცხარე აგიტაციას ეწეოდა; ეგ ეს პარტიაა, რომელიც ეროვნულ თვითშეგნების ჩანასახსაც კი კლავდა მასაში და შეგნებულად სწამლავდა ჩვენს დემოკრატიას.

ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ საქართველოს თავისუფლება მათთვის დღის საკითხი იყო; და დღეს, როდესაც რევოლიუციამ მიუხედავად მათი ჯინიან უარყოფისა ეგ საკითხი ცხოვრების ზედა პირზედ ამოატივ[illegible]ა, და უპირველეს საკითხთა შორის, უპირველეს ადგილზე დასვა, ისინი მაინც თავისას განაგრძობენ, ისენი მაინც თავისას არ იშლიან.

ჩვენ ყოველთვის ეშვის თვალით უცქერიდით საქართველოს დამოუკიდებლობის გა[illegible]ბკიცებაში იმათ საქმიანობას და [illegible]აუბედურეთ ჩვენი ეშვი მართლდება. აგერ ეშვი თვეა რაც ფაქტიურად ქართველმა სოციალ დემოკრატიამ რუსეთიდან პირი იბრუნა და ოცდა ხუთი წლის საწინააღმდეგო ბრძოლის [illegible]ემდეგ ქართულ მასას საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველად მოევლინა, მაგრამ ძლიერ ხანმოკლე გამოდგა მათი გულწრფელობა, ძლიერ საძნელო შეიქმნა ძველი გზის სავსებით დატოვება

თუმცა დიდი ხანია შეჩვეული ვართ მაგრამ მაინც გვაკვირვებს დღეს მათი რყევა და ორპოფი პოლიტიკა. მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით არ ამოიწურება საქართველოს თავისუფალი არსებობა. ჩვენ ვერაფრით ვერ აგვიხსნია საქართველოს პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა ენის შესახებ კანონ-პროექტის იმ სახით დატოვება, როგორც ეს მათი წყალობით დარჩა. ან რას უნდა მივაწეროთ ის მოვლენა, რომ წინააღმდეგ ყველა ფრაქციებისა, მენშეკიკები ორმოცდა ათი ათას მანეთიან კრედიტს უხსნიან ჩვენთვის სრულიად გამოუსადეგარ რუსულ უნივერსიტეტს, მაშინ, როდესაც ჩვენი საკუთარი უნივერსიტეტისა და თეატრის მიუცილებელ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქვეყანას ვაწუხებთ, რომ ორიოდე გროში შევაგროვოთ. ამას ჩავდივართ იმ დროს, როდესაც სახალხო მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჯამაგირის მომატებას ვლაპარაკობთ და რამოდენიმე თვეა ბევრისათვის ერთი კაპიკიც ვერ მიგვიცია. ნუ თუ ეს უკუდო ხარის ანდაზას არ მოგვაგონებს!

დღემდის სახელმწიფოებრივ მუშაობაში საქართველოს საკეთილდღეოთ ჩვენი პარტიაც იღებდა მონაწილეობას დღემდის ჩვენ ხელი ხელ ჩაკიდებული ვმუშაობდით მოპოვებულ თავისუფლებათა შესანარჩუნებლად, მაგრამ თუ სოციალ დემოკრატიამ მოისურვა ისევ ძველი გზით სვლა და ცხოვრების მიერ მიცემულ გაკვეთილს ყურადღება არ მიაქცია, ჩვენი ვალია მათ ჩამოვშორდეთ და სასტიკი ოპოზიცია ვაწარმოვოდ-

ჩვენი ვალია დროზედ აღღოთ ალღო მათ დამღუპველ პოლიტიკას და ქართველი მასის წინაშე სიმართლე ვადიაროთ.

ს. ჩომახიძე.

ორმოცი დღის გარდაცვალებულს.

ამ ორმოცი დღის წინად შეუბრალებელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული ჯერ კიდევ მისი სიყვარულ მოუკვლელი პარტიული თავდადებული მოღვაწე და საზოგადო ქველ მომქმედი ვერა ვარაზაშვილისა; ჩვენმა პარტიამ დაჰკარგა ერთი კარგი თავდადებული მოდვაწე, ხოლო საზოგადოებამ ერთი დიდებული ქვლმოქმედი ადამიანი, რომელსაც მთელი თავის ენერგიით იწირებოდა ყველაფერ კულტურულ დაწესებულებას, იგი იყო ნამდვილი ქართველი დედის შვილი და გამოაკლდა ჩვენს რჩეულ დედებს, და გამოაკლდა კიდევ უმფრო ჩვენს მცირე რიცხოვან კულტურულ ქალთა ჯგუფს ეს დიდებული წევრი, იგი პირველ რეოლაუციის დღეებში მთელი ძალ ღონით მუშაობდა ჩვენს პარტიაში და ეგმარებოდა პოლიტიკურად და მატერიალურად, მაგრამ მე მაგონდება ერთს ადგილას დიდი მისი საუბარი მან სთქვა მე ქართველი დედა ვარ და ცხრა შვილი გამიზდია პოლიტიკურად ყველანი დაწურთნილი არიანო მაგრამ თუ ეს დასჭირდება საქართველოს კეთილდღეობას, დეე ესენი მსხვერპლადაც შემიწირნიაო. აი ასეთი მაღალი იდეების მატარებული ადამიანის შვილი იყო ეს ძვირფასი ადამიანი, და განა გასაკვირი იქნება ასეთი დედის შვილი სამშობლოს გამოადგეს?

მაგრამ ძნელია, დაჰკარგა დედამ უდროოდ თავისი პირმშო, დაჰკარგა ის ვისაც შობილი ეუძუთი ზრდიდა ვისაც ტკბილს ნანინას უმღერდა, იმისთვის რომ ერთს დღეს შვილს დედისთვის უნდა დაეფრქვია მწვავე ცრემლები გულზე; მაგრამ ცხოვრების ცვალებადობამ ეს კანონიერება შესცვალა და დედას ჩაუმწარა ტკბილი ძუძუ, და შვილს დააფრქვია მწარე ცრემლები.

ევ. ნავარძელი.

პეტრე პეტრეს ასულს

ულმობელ[illegible] [illegible] სიკვდილმ[illegible] [illegible] ძვირფას [illegible] [illegible] დამოთ დავატოვებინა ის შენ, ახლად შობილი სამშობლო რომელიც შენგნით დიდ რამეს მოითხოვდა.

მაგრამ ამხ. პეტრე! შენ ბედნიერი ხარ იმითი რომ მოესწარი შენი მრავალხნოვანი სურვილს და პრინციპის განხორციელებას რომელიც შენი სამშობლოს განთავისუფლებაში გამოიხატა. შენი მთავარი პრინციპი იყო მხოლოდ ორი სიტყვა: „საქართველოს განთავისუფლება„ და ეს ორი მცნება სინამდვილეთ იქცა და შენ შენის თვალით იხილე მკვდრეთით ამდგარი სამშობლო მაგრამ სამწუხაროდ ეს სიტყვები ჩვენთვის სანუგეშოდ არ კმარა და შენი სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენი პარტიისათვის რომელზედაც დიდი ღვაწლი და შრომა მიგიძღვის 1905 იდან დამოკიდებული სიკვდილის უკანასკნელ დღემდე. მშვიდობით ჩემო ძვირფასო პეტრე! შენ უდიდეს შრომას არ დაივიწყებს შენი ამხანაგებ და შენი ხსოვნა მათ გულში სამუდამოთ წარუშლელი დარჩება.

ტ. წალენჯიხელი.

ახალი ამბავი

◆ **შანტაჟი.** როგორც ამხანაგები გადმოგვცემენ ქალაქში დადიან ვიღაც შანტაჟისტები და სოც.-ფედერ. პარტიის სახელით იარაღი მიაქვთ სახლებიდან. საჭიროა ამ შანტაჟისტების ვინაობის გამოკვლევა.

◆ **ამხ. ალ. წერეთლის ლექცია.** სამშაბათს 29 ოქტომბერს ქ. ნაჩხუთში ამხ, ალ. წერეთელი წაიკითხავს ლექციას „საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა“-ზე.

◆ **ალიკო ჯერუაშვილის გარდაცვალების გამო.** სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ფედ. სტუდენთა კრებამ მოისმინა რა უდროოდ დაკარგულ ამხ. ალიკოს გარდაცვალების ამბავი, ფიხზე ადგომით პატივი სცა მის ხსოვნას და თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა გაზ. „ხალხის მეგობრის“ რედაქციას და მშობლებს.

◆ **გენერალ მაზნიაშვილის სახლში** მოხდენილ ჩხრეკის დროს არავითარი საეჭვო ნივთები არ აღმოჩნდა.

◆ **სომეხთა საწყობები საქართველოში.** ვინაიდან საქ, მთავრობამ სომეხ ჯარის კაცების საქართველოდან გაყვანა მოითხოვა და ამიტომ სომხების საწყობების დამცველი ჯარის კაცები ერევანში იგზავნებიან, არარატის დიპლომატიური წარმომადგენელი ჯამალიანი შუამდგომლობს საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ არამიანცის სახლში მოთავსებულ საწყობთან ქართველი დარაჯები იქნენ დაყენებულნი.

იაფი პური, ნოემბრის დამდეგს პური გაიყიდება გირვანქა მანეთ ნახევრად. პური სულზე ნახევარი გირვანქა გაიცემა დღეში და მიეცემა მხოლოდ სახლის კომიტეტებს.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.
გამომც. მუშათა კავშირის გამგეობა.

ქართული
ლატარია 5,000,000 მან.
ქართული უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ
პირველი მოგება 100,000 მანეთია.
ბილეთები იყიდება ყველგან, საცა კი გამოცხადებულია.

ხალხოლიტიკო და ხალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე“
ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კასტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ქ. ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“ ბარიონის ქუჩა № 14.